კრების ოქმი N2

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

სოფ. ქვაბღა

29 ნოემბერი 2023 წ.

კრების ჩატარების ადგილი : ქვაბღის ადმინისტრაციული შენობა

კრების თავმჯდომარე: დავით შარაშიძე

კრების მდივანი: ლია ხუნდაძე

კრების წევრთა რაოდენობა: 239

კრებაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა: 55

დღის წესრიგი : **„ცხოვრების დონის გაუმჯობესების მიზნით, მოსახლეობის საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით სოფლის განვითარების პერსპექტივები“.**

კრება გახსნა კრების თავჯდომარემ - მუნიციპალიტეტის მერმა დავით შარაშიძემ. მან მოსახლეობას გააცნო კრების მიზანი, პროექტით გათვალისწინებული საჭიროებები. მერმა აღნიშნა, რომ პროექტი არის გრძელვადიანი პერსპექტივის და მოსახლეობას შეუძლია ნებისმიერი საკითხის დაყენება. პროექტის დეტალური გაცნობისთვის და სამუშაო პროცესის წარმართვისთვის სიტყვა გადაეცა ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსს - ზურაბ კოტრიკაძეს. მან მოსახლეობას განუმარტა, რომ დღეს სოფელ ქვაბღაში, მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით, USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მხარდაჭერით ტარდება დასახლების საერთო კრება.

ცოტა რამ დასახლების საერთო კრების შესახებ: 2015 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში განხორცილებული ცვლილებების თანახმად, განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვადასხვა ფორმები, სწორედ ერთ-ერთი მათგანია დასახლების საერთო კრება, რომელიც არის სოფლის/დაბის/ქალაქის მოსახლეობის თვითორგანიზაციის და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას მუნიციპალიტეტის წინაშე დააყენონ მუნიციპალიტეტისა თუ კონკრეტული დასახლებისათვის მნიშვენლოვანი საკითხები და მუნიციპალიტეტის მიაწოდონ შესაბამისი წინადადებები.

ვინ შეიძლება მონაწილეობდეს საერთო კრების მუშობაში? ქვაბღის საერთო კრების წევრია ქვაბღაში რეგისტრირებული ამომრჩეველი. სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის

უფლება აქვთ აგრეთვე შესაბამისი დასახლების ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების მესაკუთრეს და ამ დასახლებაში მცხოვრებ სხვა სრულწლოვან პირს.

იმისათვის რომ დასახლების საერთო კრება ჩატარდეს და გადაწყვეტილება მიიღოს, მნიშვნელოვანია რომ მონაწილეობა მიიღოს სოფლის ამომრჩევლების მინიმუმ 20%-მა.

დასახლების საერთო კრებაზე თქვენი როლი იქნება დისკუსიაში მონაწილეობის მიღება და თქვენი აზრის დაფიქსირება რა მიმართულებით გსურთ სოფლის განვითარება, ასევე შესაძლებლობა გექნებათ გამოთქვათ თქვენი მოსაზრებები რა პრობლემებს ხედავთ სოფელში და როგორ გსურთ მათი მოგვარება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია რომ მონაწილეობა მიიღოთ ხმის მიცემის პროცედურაში, რომელიც დასახლების საერთო კრების მნიშვნელოვანი ნაწილია.

ვის აქვს საერთო კრების მოწვევის უფლება? საერთო კრების მოწვევის ინიციირების უფლება აქვთ:

ა) შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 5%-ს;

ბ) მუნიციპალიტეტის მერს – საკუთარი ინიციატივით ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუამდგომლობით;

გ) საერთო კრების რჩეულს.

რა უფლებამოსილება გააჩნია საერთო კრებას:

ა) განიხილოს დასახლებისთვის მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური საკითხები;

ბ) განიხილოს შესაბამის დასახლებაში განსახორციელებელი პროექტები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მათ ასახვამდე და მუნიციპალიტეტის ორგანოებს წარუდგინოს დასაბუთებული შენიშვნები და წინადადებები;

გ) განიხილოს მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განხორციელებული პროექტები და მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის წარსადგენად მოამზადოს შესაბამისი შენიშვნები და წინადადებები;

დ) ორგანიზება გაუწიოს შესაბამისი დასახლებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში, კერძოდ, დასახლების ტერიტორიის დასუფთავებაში, საქველმოქმედო საქმიანობაში, დასახლების ინფრასტრუქტურის შეკეთებასა და მოწესრიგებაში და სხვა იმ სფერ[illegible]ებში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, და, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებისთვის მიმართოს მუნიციპალიტეტის ორგანოებს;

ე) მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის პეტიციის წარდგენის შესახებ;

ვ) მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით განიხილოს დასახლების საზღვრების დადგენისა და შეცვლის საკითხები და მოამზადოს შესაბამისი წინადადებები;

ზ) მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოს წარდგინებით განიხილოს დასახლების ტერიტორიაზე არსებული ქონების მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში შეტანის საკითხი და მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოს წარუდგინოს საკუთარი შენიშვნები;

თ) განიხილოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ საერთო კრებაზე ინიციირებულ[illegible] საკითხი;

ი) უფლებამოსილების ფარგლებში დავალებები მისცეს საერთო კრების რჩეულს.

საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრებაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა ხმების უმრავლესობით. კენჭისყრა, როგორც წესი, ხელის აწევით იმართება.

როგორ მოხდება დასახლების საერთო კრების შედეგების გამოყენება და რა მნიშვნელობა აქვს ამ მექანიზმს სოფლის მოსახლეობისათვის.

მუნიციპალიტეტის ორგანოები (მერია/საკრებულო) ვალდებულია განიხილოს დასახლების საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებები და დასაბუთებული პასუხი აცნობოს დასახლების საერთო კრებას. მოქალაქეთა ჩართულობის ამ ფორმის გამოყენება ადგილობრივ ხელისუფლებას შესაძლებლობას აძლევს, მიიღოს მოსახლეობასთან ერთად განხილული, შეთანხმებული და შეფასებული გადაწყვეტილებები.

მიღებულ გადაწყვეტილებას აქვს ლეგიტიმაციისა და ნდობის მაღალი ხარისხი.

საფუძველს ქმნის მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის პასუხისმგებლობათა გადანაწილებისთვის.

საზოგადოებას აძლევს ადგილობრივ საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებულ გადაწყვეტილებათა მიღების შესაძლებლობას.

ქმნის თანამონაწილეობისა და თანამესაკუთრეობის განცდას მიღებულ გადაწყვეტილებათა მიმართ.

აძლიერებს არჩეულ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სურვილს, ასევე, ნდობას მის მიმართ.

დღევანდელი საერთო კრება განსხვავებულ ფორმატში ტარდება. კერძოდ გამოყენებული იქნება რამდენიმე ინოვაციური მექანიზმი.

მოქალაქეთა ასამბლეას მოსამზადებელი ეტაპი - დასახლების საერთო კრების სხდომის შესახებ მოსაწვევი, მერის ხელმოწერით გადაეცა დასახლებაში მცხოვრებ ყველა ოჯახს, წარიმართა საინფორმაციო კამპანია, როგორც ონლაინ ასევე პირისპირ შეხვედრების გზით.

საერთო კრება მოწვეულია მერის ინიციატივით, როგორც იცით დღის წესრიგით განისაზღვრა სოფლის განვითარების პრიორიტეტების გამოკვეთა. ჩვენ გამოვკვეთეთ რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება, რომლის ფარგლებში გვექნება დღეს დისკუსია:

ინფრასტუქტურა/კეთილმოწყობა;

ტურიზმი/გარემოს დაცვა;

განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდული საკითხები;

და სხვა.

ჩვენ არ ვაპირებთ რაიმე კონკრეტული წინადადებებით შემოსვლას, როგორ ხედავთ სოფლის განვითარების გზებს და რა პრობლემები აქვს სოფელს ამას აქვე, ამ შეხვედრაზე თქვენვე წარმოადგენთ. ეს არის მექანიზმი, ე.წ. თავისუფალი სივრცის ტექნოლოგია (Open Space) – რომელიც მონაწილეებს საშუალებას აძლევს თავად წამოწიონ მათთვის საინტერესო ასპექტები და წარმართონ დისკუსია. ეს მოდელი ძალიან მოქნილია, რადგან წინასწარ განსაზღვრულია მხოლოდ ძირითადი საკითხი, მონაწილეები თავად წყვეტენ ვისთან ერთად უნდათ მუშაობა, რა მიმართულებით და რამდენი ხანი.

- მონაწილეებს სამუშაოდ ეძლევათ ნახევარი საათი, ეყოლებათ ფასილიტატორი, რომლებიც დაეხმარებიან თემის გამოკვეთაში.
- შემდეგ ვარკვევთ, არის თუ არა მოცემული საკითხები მუნიციპალიტეტის კომპეტენცია.

- ამის შემდეგ ცალ-ცალკე ეყრება კენჭი ყველა რეკომენდაციას, საერთო კრების მონაწილეს უფლება აქვს ხმა მისცეს თითოეული მიმართულებიდან მხოლოდ ერთ პროექტს, შესაბამისად რამდენი მიმართულებაც იქნება ამომრჩეველს ექნება იმდენი ხმა.
  კენჭისყრის საფუძველზე შეირჩევა იმდენი რეკომენდაცია, რამდენი მიმართულებაც იქნება თქვენს მიერ შერჩეული.

მოსახლეობა გადანაწილდა ჯგუფების მიხედვით და თითოეულმა ჯგუფმა დაიწყო აღნიშნულ თემებზე მუშაობა. თითოეული ჯგუფის რჩეულმა წევრმა გააკეთა პრეზენტაცია შესაბამის საკითხებზე:

თემა 1- ინფრასტრუქტურა, კეთილმოწყობა.

1. შიდა გზების მოწესრიგება(განათება)
2. საბავშვო ბაღის მშენებლობა
3. გაზიფიცირება
4. ამბულატორიის მშენებლობა
5. საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა
6. საზოგადოებრივი ტრანსპორტის დანიშვნა
7. სკვერის კეთილმოწყობა
8. ტრაქტორის შეძენა გზების გასაწმენდათ

თემა 2- ტურიზმი, გარემოს დაცვა.

1. საქონდრია -ტბისყურის ტერიტორიაზე ტურისტული ზონის მოწყობა(ფაჩატურების მოწყობა, წყლის შადრევანი.)
2. მოსაცდელის კეთილმოწყობა, სანაგვე ურნების განთავსება
3. მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნება
4. ტყის ბილიკების მოწყობა ზოტიწვრის მიმართულებით

თემა 3- განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდული საკითხები

1. ბაღის მშენებლობა
2. სტადიონი, ახალგაზრდული სივრცის მოწყობა
3. მოსწავლეების ტრანსპორტირება წრეებზე
4. სკოლის ინფრასტრუქტურა(ადვოკატირება)
5. სკვერის მოწყობა

საკითხების დასახელების შემდეგ ჩატარდა თითოეულ თემაზე კენჭისყრა.

კრების თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა განხილული საკითხი: თითოეული თემიდან გავიდა ერთი საკითხი: თემა 1--- ინფრასტრუქტურა -საბავშვო ბაღის მშენებლობა

მომხრე: 63

წინააღმდეგი: 0

კენჭისყრის მონაწილეთა რაოდენობა: 63

თემა 2 -- ტურიზმი- მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნება

მომხრე: 23

წინააღმდეგი: 0

კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობა: 23

თემა 3--განათლება, სპორტი, კულტურა , ახალგაზრდული საკითხები

სკოლის ინფრასტრუქტურა (ადვოკატირება)

მომხრე : 54

წინააღმდეგი : 0

კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობა: 54

მიღებული გადაწყვეტილება :

1. საბავშვო ბაღის მშენებლობა
2. მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნება
3. სკოლის ინფრასტრუქტურა (ადვოკატირება)

შენიშვნა:

კრების თავმჯდომარე: ---------- დავით შარაშიძე

კრების მდივანი: ---------- ლია ხუნდაძე